პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი

მაცხოვრის მოწოდება მსახურებისკენ

ყველამ, ვისაც მათემატიკასთან ჰქონია შეხება იცის, თუ რას ნიშნავს საერთო მნიშვნელი. უკანასკნელი დღეების წმინდანებისთვის საერთო მნიშვნელი არის ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს. ეს საერთო მნიშვნელი არის ის პირადი მოწოდება, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი იღებს, რათა აქ, დედამიწაზე, ღვთის სასუფეველში შეასრულოს თავისი დავალებები.

როდესმე გიწუწუნიათ მოწოდების მიღების გამო თუ მადლიერებით ღებულობთ თქვენი დებისა და ძმებისთვის მსახურების ნებისმიერ შესაძლებლობას, რამეთუ ვიცით, რომ მამაზეციერი ლოცავს მათ, ვისაც იგი ირჩევს?

იმედი მაქვს, რომ ჩვენ არ დავკარგავთ მსახურების სათუთი საშუალების რეალურ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა, ეს მარადიული მიზანი იგივეა, რის შესახებაც ამბობდა უფალი და რასაც ვკითხულობთ „ძვირფას მარგალიტში“. რამეთუ უფლის თქმით, ეს მისი ღვაწლი და დიდებაა - მოუტანოს ადამიანებს უკვდავება და მარადიული ცხოვრება.[1]

დაე მარადის გვახსოვდეს, რომ უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრობის მანტია არ უნდა მივიღოთ როგორც კომფორტის მომტანი, არამედ როგორც პასუხისმგებლობის მომნიჭებელი. იმის გარდა, რომ გვევალება საკუთარი თავის ხსნა, ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ვიყოთ სხვების გზამკვლევნი ღვთის ცელესტიალურ სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე.

როცა ჩვენ ნებაყოფლობით მივყვებით ღვთის მსახურების გზას, არასდროს არ აღმოვჩნდებით შექსპირის გმირის, კარდინალ უოლსის როლში. ის მთელი ცხოვრება ემსახურა მეფეს და როცა ძალაუფლება დაკარგა, შეწუხეული ჩიოდა:

ამის ნახევარი თავდადებით ღმერთისთვის
რომ მემსახურა!
მე ვემსახურე ჩემს მეფეს, მან კი გამრიყა!
დამტოვა უძლური მტრების წინაშე.[2]

რა სახის მსახურებას ითხოვს ჩვემგან ზეცა? უფალი ითხოვს გულსა და მოსურნე გონებას; სურვილი და მორჩილება კი იგემებს სიონის მიწის სიკეთეს ამ უკანასკნელ დღეებში.[3]

მე სუნთქვა მეკვრის, როცა ვფიქრობ პრეზიდენტ ჯონ ტეილორის სიტყვებზე (1808–87): „თუ თქვენ არ განადიდებთ თქვენს მოწოდებებს,

ღმერთი პასუხს მოგთხოვთ იმაზე, ვისი ხსნაც შეგეძლოთ, თქვენი მოვალეობა რომ შეგესრულებინათ“.[4]

იესოს ცხოვრება, როცა ის ადამიანთა შორის მსახურებდა, შეიძლება შევადაროთ სიკეთის მოკაშკაშე სინათლეს. „მე კი თქვენ შორის ვარ, როგორც მსახური“,[5] განაცხადა იესომ, როცა ხეიბრებს ფეხზე აყენებდა, ბრმებს თვალის ჩინს უბრუნებდა, ყრუს სმენას, მკვდარ სხეულს კი - სიცოცხლეს.

კეთილი სამარიელის მაგალითზე უფალმა გვასწავლა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი ვითარცა ჩვენი თავი.[6] მის მიერ ახალგაზრდა მმართველისთვის გაცემული პასუხი გვასწავლის ეგოიზმისგან განთავისუფლებას.[7] 5000 ადამიანის დაპურების მაგალითით ის გვასწავლის გასაჭირში მყოფთათვის დახმარებას.[8] მთაზე ქადაგების დროს მან გვასწავლა, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ ღვთის სასუფეველი.[9]

აღმდგარმა უფალმა იქადაგა ახალ კონტინენტზე: თქვენ იცით, რაც უნდა აკეთოთ ჩემს ეკლესიაში; რამეთუ ის, რასაც მე ვაკეთებდი თქვენც უნდა გააკეთოთ; ჩემი საქმეები თქვენც უნდა გააკეთოთ.[10]

ჩვენ ვლოცავთ სხვებს, როცა ვმსახურობთ იესო ნაზარეველის ჩრდილში.… ის „დადიოდა, ქველმოქმედებდა.“[11] ღმერთმა დაგვლოცოს ვიპოვოთ სიხარული მამა ზეციერის მსახურებაში, როცა დედამიწაზე მის შვილებს ვემსახურებით.

შენიშვნები

1. იხილეთ მოსე 1:39.
2. უილიამ შექსპირი, *მეფე ჰენრი მერვე,* მოქმედება3, სცენა2, სტრიქონი 456– 58.
3. იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 64:34.
4. *Teachings of Presidents of the Church: John Taylor* (2001), გვ.164.
5. ლუკა 22:27.
6. იხილეთ ლუკა 10:30–37; ასევე იხილეთ მათე 22:39.
7. იხილეთ მათე 19:16–24; მარკოზი 10:17–25; ლუკა 18:18–25.
8. იხილეთმათე 14:15–21; მარკოზი 6:31–44; ლუკა 9:10–17; იოანე 6:5–13.
9. იხილეთ მათე 6:33.
10. იხილეთ 3 ნეფი 27:21.
11. საქმეები 10:38.

ამ მოწოდების სწავლება

უფალი არ მოგვცემს დამარცხების ნებას, თუკი ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც მოგვეთხოვება. ის გაგვაკეთებინებს იმასაც კი, რაც აღემატება ჩვენს შესაძლებლობებსა და ნიჭს.… ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ადამიანური განცდა“ (ეზრა ტაფტ ბენსონი, *Teaching, No Greater Call* [1999], 20). გაუზიარეთ გამოცდილება, როცა თქვენ ან თქვენს ნაცნობს უგრძვნია უფლის მიერ თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების განდიდება. სთხოვეთ ოჯახის წევრებს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი პირადი დადებითი გამოცდილება, როცა მათ მიიღეს „უფლის მოწოდება მსახურებისკენ“.

ახალგაზრდები

ტაძარში მსახურება

ბენჯამინ ა.-ს მიერ.

როდესაც 17 წლის გავხდი, სერიოზულად დავფიქრდი ჩემს მომავალზე. მე ლოცვით მივმართე მამაზეციერს, რათა გამეგო, თუ რა უნდა გამეკეთებინა მისიაზე წასასვლელად და მელქიცედეკის მღვდლობის მისაღებად. მე ვიგრძენი, რომ უფრო ხშირად უნდა მევლო ტაძარში, რადგან ის უფლის სახლია და არის ის ადგილი, სადაც მამაზეციერთან უაღრესად ახლოს გრძნობ თავს.

ასე რომ, დავსახე მიზნად წელიწადში 1000 გარდაცვლილის ნაცვლად მონათვლა. მე ამ მიზნის დასახვის აუცილებლობას ვგრძნობდი; ვიმარხულე კიდევაც, რათა გამეგო, იყო ეს უფლის ნება თუ არა. მამაზეციერმა მიპასუხა და მე ყოველ შაბათს დავიწყე მეხიკოს ტამპიკოს ტაძარში სიარული.

500 ნათლობის ჩატარების შემდეგ მე მიზნად დავისახე ჩემი წინაპრების საოჯახო ისტორიის კვლევა. მე ეს საქმე იმდენად მომეწონა, რომ სახელების მოძებნას ძილზე განკუთვნილ დროსაც ვახმარდი. მოვიძიე 50 სახელი, ჩემი შთამომავლობის რვა თაობა და მათთვის სატაძრო სამუშაოს ჩატარებაში მონაწილეობაც კი მივიღე.

საქმე იმით დამთავრდა, რომ მე 1300 გარდაცვლილის ნაცვლად მოვინათლე, სემინარია დავამთავრე, მელქიცედეკის მღვდლობა მივიღე და ამჟამად სრული დატვირთვის მისიონერად ვმსახურობ. ეს კი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზანი იყო.

ბავშვები

მე შემიძლია რაღაც გავაკეთო სხვებისთვის

თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია რაიმე გააკეთოს სხვების დასახმარებლად. პრეზიდენტმა მონსონმა გვასწავლა, რომ უნდა შევიყვაროთ ყოველი ადამიანი და შეძლების დაგვარად დავეხმაროთ მათ.

ოჯახური სადილის დროს სთხოვეთ ოჯახის თითოეულ წევრს გაგიზიარონ, თუ რა გააკეთეს დღეს სხვების დასახმარებლად. ყოველდღიურად ჩაიწერეთ თქვენი მსახურების მაგალითები ჟურნალში.

© 2012 Intellectual Reserve, Inc-ის მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში.ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, August 2012.* Georgian. 10368 131

მოქმედება გაჭირვების ჟამს

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ჩვენი, როგორც შინა მასწავლებლების ერთ-ერთი მიზანია, დავეხმაროთ ადამიანებს ოჯახების გაძლიერებაში. დებს, რომლებსაც ვსტუმრობთ, უნდა შეეძლოთ თქმა: „თუ პრობლემა გამიჩნდა ვიცი, რომ შინა მასწავლებელი თხოვნის გარეშეც დამეხმარება.“ მსახურებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ ჩვენი დების საჭიროებანი. შთაგონების წყალობით გვეცოდინება, როგორ ვუპასუხოთ ყოველი ჩვენთვის ჩაბარებული დის სულიერ თუ მიწიერ საჭიროებას. შემდეგ, ჩვენი დროის, უნარების, ნიჭის, რწმენაზე აგებულ ლოცვების, სულიერ და ემოციურ მხარდაჭერის წყალობით ჩვენ შევძლებთ ავადმყოფობის, სიკვდილის და სხვა საგანგებო სიტუაციაში თანაგრძნობის მსახურებების გაწევას.[1]

შინა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაცია დაეხმარება მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტობას გამოავლინოს ისინი, ვისაც რაიმე უჭირს ფიზიკური ან ემოციური დაავადების, საგანგებო სიტუაციის, ოჯახის წევრის დაბადების ან გარდაცვალების, ინვალიდობის, სიმარტოვის ან სხვა სიძნელის გამო. ამის შემდეგ მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტი მოხსენებას აკეთებს ეპისკოპოსთან და უკვე მისი ხელმძღვანელობით ოჯახი იღებს დახმარებას.[2]

როგორც შინა მასწავლებლებს, ჩვენ გვაქვს უდიდესი მიზეზი … სიხარულისთვის ყველა იმ ლოცვა-კურთხევის გამო, რომელიც მოგვცა ღმერთმა იმისთვის, რათა მის მიერ დაწესებული დიდებული შრომის შესრულებისას გავხდეთ იარაღი მის ხელში (იხილეთ ალმა 26:1, 3).

წმინდა წერილებიდან

მათე 22:37–40; ლუკა 10:29–37; ალმა 26:1–4; მოძღვრება და აღთქმები 82:18–19

ჩვენი ისტორიიდან

ეკლესიის ადრეულ წლებში წევრები არც თუ ისე ბევრნი იყვნენ და ერთად იყვნენ თავმოყრილნი. მათ შეეძლოთ ძალიან სწრაფად მიეღოთ გადაწყვეტილება, როცა ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა. დღეს ჩვენი რიცხვი 14 მილიონს აღემატება და მთელს მსოფლიოს მოიცავს. შინა მასწავლებლის პროგრამა არის უფლის გეგმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მისი შვილების დახმარებას.

„ერთადერთი სისტემა, რომელიც შეძლებდა ასეთი მასშტაბის ეკლესიაში დახმარების გაწევას, იქნებოდა ისეთი სისტემა, რომელშიც ინდივიდუალური მსახურები გაჭირვებულთა გვერდში აღმოჩნდებოდნენ“, თქვა პირველი პრეზიდენტობის პირველმა მრჩეველმა, პრეზიდენტმა ჰენრი ბ. აირინგმა.

„… ყოველ ეპისკოპოსსა და მრევლის პრეზიდენტს ჰყავს მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტი, რომელზედაც ის ამყარებს იმედებს“, აგრძელებს იგი. „მას ჰყავს შინა მასწავლებლები, რომლებმაც იციან ყოველი დის საჭიროებები და გაჭირვება. მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტს შეუძლია, მათი საშუალებით, გაიგოს, თუ რა ხდება მათ გულებსა თუ ოჯახებში. მას შეუძლია გაუწიოს მათ დახმარება და ამავე დროს დაეხმაროს ეპისკოპოსს მის მოწოდებაში აღზარდოს როგორც ცალკე პიროვნებები, ასევე მთლიანი ოჯახები.“[3]

შენიშვნები

1. იხილეთ *Handbook 2: Administering the Church* (2010), 9.5.1; 9.6.2.
2. იხილეთ*Handbook 2,* 9.6.2.
3. ჰენრი ბ. აირინგი, *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 110.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. ვიყენებ ჩემს ნიჭს სხვების დასალოცად?

2. იციან დებმა, რომლებთანაც ვსტუმრობ, რომ მე მსურს დავეხმარო მათ გაჭირვების ჟამს?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc.-ის მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, August 2012.* Georgian. 10368 131